ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც ხელშეუვალი ღირებულება

უინსტონ ჩერჩილს ჭეშმარიტება უქადაგია, როდესაც უთქვამს ისტორიას გამარჯვებულები წერენო. მართლაც ასეა, 10 დეკემბერი და „ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ დამტკიცება უდავოდ მიგვანიშნებს, რომ კაცობრიობას, ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონისა“ არ იყოს, ლაშარის გორაზე დროშა აღუმართავს, ესე იგი, ყველაზე ღირებული რამ - თავისუფლება შეუძენია. თავისუფლების ცნება ყველასთვის პირობითია, ჩემთვის კი თავისუფლება იცით რას გულისხმობს? იმის თქმის უფლებას, რომ ორჯერ ორი ოთხია. დიახ, შესაძლოა ეს თავისუფლების იოლი და ლაკონიური განმარტებაა, მაგრამ მასში სიმართლის ნაპერწკალი ისე ფეთქავს, რომ ძალიან მალე ცეცხლს გააღვივებს. იყო თავისუფალი ნიშნავს, იყო საკუთარი თავის უფალი, ესე იგი, გქონდეს შესაძლებლობა შენი მოსაზრება დაუფარავად გამოხატო და არ იდარდო იმაზე, თუ რა გამოხმაურება მოჰყვება მას საზოგადოებისგან. სამწუხაროა, რომ ჩვენს იდეოლოგიას, მისწრაფებებს ხშირ შემთხვევაში ხალხი, მასა აყალიბებს. მიხეილ ჯავახიშვილი ნაწარმოებში „ეშმაკის ქვა“ სწორედ აღნიშნულ საკითხზე გვესაუბრება. სოფიოს, ყველაზე წმინდა, სათუთ, სპეტაკ ადამიანს, ბრბომ ქვის სროლისკენ უბიძგა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ მან საკუთარი ცხოვრების მთავარ პრინციპს უღალატა და სხვისი უფლება თავისი ხელებით შებღალა. რა მოიმოქმედა ალუდა ქეთელაურმა? იგი მოგვევლინა მხსნელად, კაცად, რომელმაც დრომოჭმულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებსა და ადათს ადამიანობა დაუპირისპირა. ადამიანობა, თავის მხრივ, სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მასზე ზრუნვას გულისხმობს. დიდი და კარგი ერთსა და იმავე ადამიანში იშვიათად იცით რატომ ბუდობს? იმიტომ, რომ მათ არ ესმით სამართლიანობისა. იყო სამართლიანი ნიშნავს ხელშეუხებლად მიგაჩნდეს არა მხოლოდ შენი, არამედ სხვისი უფლებებიც. კარგ ადამიანს ეს შეუძლია, მაგრამ დიდისა, აი დიდისა რა მოგახსენოთ. დიდი ადამიანები ,ძირითადად, განდიდების სურვილით არიან შეპყრობილნი და უმეტესად ტოტალიტარულ სახელმწიფოს ქმნიან. დიდი იყო ჰიტლერი, დიდი იყო სტალინი, მაგრამ კარგი არცერთი მათგანი ყოფილა, რადგან მათ დაანგრიეს და გააცამტვერეს ყველა დროის უმნიშვნელოვანესი ღირებულება და უდიდესი მიღწევა - ადამიანის უფლებების შეუვალობა. მართალია, დიახაც, ბრძოლისას კბილები უნდა დაკრიჭო, მაგრამ მგლად არ უნდა იქცე და უბიწო კრავი არ უნდა დაგლიჯო. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რა აყალიბებს დიდსა და კარგ ადამიანს? მისი სათავე ბავშვია. სწავლა და შემეცნება დაბადებიდან იწყება, განვითარება და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება კი ასაკის მატებას მოსდევს. დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელი იქნებოდა ბავშვთა უფლებების დაცვის გარეშე. თუ ჩვენ თვალს მუდამ უსამართლობას, ჩაგვრას, ტყეილსა და მტრობას გავუსწორებდით, ვერასდროს შევიტყობდით

სამართლიანობის, დაცულობის, ხელშეუხებლობის პრინციპებს. ილია ჭავჭავაძის სიტყვები მაგონდება: „იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველ ხანიდანვე ტრიალებს, დიდი გავლენა აქვს მთელს ადამიანის მერმისზედ“. დიახ, ქვეყანას სამი რამ აკლია: ცას კიბე, ზღვას ხიდი და ადამიანს სამართლიანობა. მე კი ვფიქრობ, რომ სამართლიან ადამიანს ბავშვობა, ყმაწვილობაში განცდილი გრძნობები ძერწავს და თუ მისი უფლებები დაცული იქნება, იქნებ მოგვიანებით, ცას კიბეც მიუდგას და ზღვაში ხიდი გადოს.

კაცობრიობის მთავარ გამოწვევად წარმატების ყოველდღიურად მიღწევა, წინსვლა, ფიქრი რჩება. ის, ვინც არ ნებდება და ცხოვრებას ებრძვის, რათა უკეთესი მომავალი შექმნას, იმარჯვებს. აზიის ძალიან ბევრ ქვეყანაში ახლაც ირღვევა ადამიანის უფლებები - ქალთა უფლებების დამცველი აქტივისტი მანქანაში ჩაცხრილეს. იქ, სადღაც სუდანში, ბავშვებს სრულწლოვანი მამაკაცები ნამუსს ხდიან. და რას უნდა აკეთებდეს სამყაროს მეორე ნაწილი ამ დროს? იბრძოდეს, არ ჩერდებოდეს, იცავდეს ნებისმიერ ჩვენგანს ყველასა და ყველაფრისგან. სარკეში ჩავიხედოთ და ფიფქიას დედინაცვლისგან განსხვავებით, იცით რა ვიკითხოთ? როგორ მსოფლიოში გვსურს ცხოვრება და რისი გაკეთება შეგვიძლია ასეთი სამყაროს შესაქმნელად? ამაზე თუ ვიფიქრებთ, დამერწმუნეთ, ჩვენზე მშვენიერი მეორე არავინ იქნება პლანეტაზე. დაე, ყველამ წარმოვიდგინოთ ჩვენთვის იდეალური მსოფლიო და ვიბრძოლოთ მისთვის. თუ არ გავიაზრებთ ადამიანის უფლებების შეუვალობას, ბავშვთა თავისუფლების უზრუნველყოფაზე არ ვიდარდებთ, ვერაფერს შევქმნით - მაშ, ტყუილად გვიცხოვრია. ქართველნო! ხმალი ავლესოთ, სამართლიანი ხმალი ავლესოთ, დავუპირისპირდეთ დღევანდელ რეალობას, გავცეთ სიკეთე, დავიცვათ ერთმანეთი ბოროტებისგან და აუცილებლად გავიმარჯვებთ ამ ბრძოლაში. ერთხელ ხომ უკვე დავამხეთ ანარქია და 10 დეკემბერს დეკლარაცია შევიმუშავეთ, ახლა კი ეს კონვენცია დავიცვათ დარღვევებისაგან. ჩვენ ამას შევძლებთ, მთავარი ხომ ერთიანობა, სიმტკიცე და მოთმინებაა, ამ იდეის გარშემო თუ შევიკვრებით, წინ ვეღარავინ აღგვიდგება. უსამართლო სამყაროში ცხოვრება იძულებით არსებობას ემსგავსება, ამიტომ უნდა გავითავისოთ, რომ „ადამიანის უფლებების დაცვა ხელშეუვალი ღირებულებაა!“

მარიამ შელია

თბილისის №171 საჯარო სკოლის

მე-12 კლასის მოსწავლე